

# სუროგაცია საქართველოში - სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკის ანალიზი

ირინა ბროლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე საჯარო სამართალი და პოლიტიკის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

## განაცხადი

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

**ირინა ბროლაძე**

**18.06.2022**

## აბსტრაქტი

თანამედროვე საზოგადოებაში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების რიცხვი პროპორციულად ზრდის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის აუცილებლობას. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, ქართულ კანონმდებლობაში არსებული კოლაბორაციული რეპროდუქციის მაკონტროლებელი ნორმების კრიტიკული ანალიზი. ამ მიზნით, კვლევა იყენებს მისი და დასავლური ქვეყნების სამართლებრივი ჩარჩოს შედარებით ანალიზს, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება სუროგაციის პროცესში მონაწილე ხელშეკრულების მხარეთა სამართლებრივი სტატუსის გააზრება და ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობის წარმოჩენა. იმ პირობებში, როდესაც სუროგაციის ტექნიკებთან მიმართებით არ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული სავალდებულო აქტი და ქვეყნები თავად წყვეტენ დაუშვებენ თუ არა რეპროდუქციის კოლაბორაციულ ტექნიკებს, აუცილებელია ისეთმა ქვეყნებმა, სადაც სუროგაცია დაშვებულია, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყონ მოქალაქეების იმ ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რაც შესაძლოა ხელყოფილი იქნას ამ ტექნიკების არასათანადო ლეგიტიმაციით გამოყენებისას.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს პრაქტიკა, მისი არაფორმალურობის მაღალი დონისა და ჩართულ მხარეთა სამართლებრივი მოწყვლადობის გამო, საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე საკითხზე მსჯელობას, პოტენციური გამოწვევების იდენტიფიცირებასა და საჭიროებებზე მორგებული რეგულაციების შემუშავებას.

## **Abstract**

The usage of assisted reproductive technologies in modern society proportionally increases the need to create an international legal framework. The aim of the paper is a critical analysis of the norms governing collaborative reproduction in the Georgian legislation. For this purpose, the study uses a comparative analysis of its legal framework and that of Western countries, on the basis of which it will be possible to understand the legal status of the parties to the contract participating in the surrogacy process and to demonstrate the necessity of vital changes at the national legislative level. As long as there is no internationally recognized mandatory act regarding surrogacy techniques, and countries themselves decide whether to allow collaborative reproduction techniques, it is necessary for those countries where surrogacy is allowed at the legislative level to ensure the protection of the fundamental rights of citizens that may be violated when using these techniques with improper legitimation.

This paper argues that the surrogacy practice in Georgia with its high level of informality and judicial vulnerability of the involved parties, requires a larger discussion on the phenomenon, which will allow decision makers to identify potential challenges and thus, create necessity-based regulations.